იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოეთის ხევი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 19 (137)

დეკემბერი, 1965 წელი



საბედნიეროდ მოგვილოცნია, მეგობრებო!

მეგობრებო, ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო! სულით და გულით მოგესალმებით და საბედნიეროდ მოგილოცავთ ახალ, 1966 წელს!

ესეც მეოცე საუკუნის სამოცდამეექვსე წელი! ყოველად მშვიდობიანი, შრომაბარაქიანი, ხალასი შემოქმედებიანი წელიწადი ყოფილიყოს იგი!..

მთაწმინდისა და უძველესი არმაზის თავზე ახალწლის მზე ამოდის და ზეციური ცთომილები შარიშურობენ. კავკასიონის ჭაღარა მწვერვალები გაქვავებულ თარიღებად, საუკუნეებად დგანან. ახალწლის მთვარეც გაბადრულა, ხალიბურ სახნისივით ჩაუვლის ღრუბლებს. ბუნების უბადლო ოსტატს ვარსკვლავების ლალიონი მოუბნევია საქართველოს მაღალ ზეცაზე.

ხელხვავიანი და გულბედნიერი ეგებება მშრომელი ქართველი ხალხი ახალ წელს!

დაე, თქვენც გათბობდეთ და გატკბობდეთ ქართული მიწის სურნელი და სითბო უცხოეთში მცხოვრებო ჩვენო თანამემამულეებო! დაე, ახალი, 1966 წელი საყვარელ სამშობლოსთან, მშობლიურ ხალხთან თქვენი საბედნიერო შეხვედრის წელიც იყოს.

მოგილოცავთ, და ამ ახალ წელსაც მოგაგონებთ ჩვენი დიდი **ილია ჭავჭავაძის** ძველ, მაგრამ მარად ახალ სიტყვებს, **„რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისათვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალ წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ მხნე იყავ და გაძლიერდი! აი ჩვენი საახალწლო მილოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა“.**

ჩვენი საახალწლო მილოცვაც, ჩვენი საახალწლო ნატვრა და სურვილიც ეს იყოს, ჩვენო ძვირფასო თანამემამულეებო!

საბედნიეროდ მოგვილოცნია, მეგობრებო!

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ სარედაქციო კოლეგია.

ორდენოსანი საქართველო

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი გაზეთის ეს ნომერი უკვე მზად იქო, როცა მივიღეთ ცნობა, რომ რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ დაჯილდოვდა ლენინის მეორე ორდენით.

ქართველი ხალხის გმირული შრომის ესოდენ მაღალ შეფასებას დიდი სიხარულით და ზეიმით შეხვდა ჩვენი რესპუბლიკა.

დიდი მეკვლე

შენ გილოცავდნენ მთაწმინდელი და რუსთაველი,
და ამიტომაც დღეგრძელი ხარ სხივთა ჩაღივით...
ვეღარ ასწრებდა შეყვითლებას პურის თაველი,
რომ შენს მოსავალს მტერი მკიდა მრუდე მახვილით.

და მოდიოდნენ ცეცხლის წლები, შენ კი რჩებოდი,
რომ მოგველოცა გამარჯვება ჩვენს დიად დროში...
მაშვრალი კაცი მზეს უხმობდა: მზევ შინ შემოდი! —
და შემოვიდა მზის დევგმირი დიდების დროშით.

ვინ გააკვირვებს საქართველოს წელთა სიმრავლით?
ახსოვს პრომეთე მიჯაჭვული, ცეცხლის გამჩენი,
ვის არ აკვირვებს საქართველო სხივთა ტრფიალით,
ბექას ყალმით თუ ვაჟას კალმით, გმირთა მარჯვენით!

სწორედ ამიტომ ქართვლის დედა აკვანს კვლავ არწევს,
ოქროსფრად ღვივის შენს ყანებში პურის თაველი,
რომ გილოცავდნენ მაშვრალ მამულს მრავალ ახალ წელს
თვით ქეთევანი, მთაწმინდელი და რუსთაველი.

...გზად რვაასი წლის დიდი მეკვლე შემოგვეყარა:
„მეც მასთანა ვარ, ცეცხლის დროში ვინც დამიცავო!
მრავალ ახალ წელს, მშობლიურო ჩემო ქვეყანავ,
მგოსანთა მიწავ, ბრძენთა მიწავ, გმირთა მიწაო!“

აკაკი გელოვანი.

საჰაერო ტრასები დღეს და ხვალ

სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზები ერთ-ერთი უველაზე ახალგაზრდა სახეობის ტრანსპორტია ჩვენს ქვეყანაში. **ჯერჯერობით** ასეთი გზები **ცოტაა,** მაგრამ **შორს არ არის** ის დრო, **როცა ასეთი** მაგისტრალები **ასობით** იქნება, ეს გზები ერთმანეთს დაუკავშირებს ქალაქების საცხოვრებელ რაიონებს, დაბებსა და სოფლებს კავკასიის მთებსა და შუა აზიაში, ხელს შეუწყობს შავი ზღვის სანაპიროს ჯანმრთელობის კერებს სწრაფად გადაიყვანონ დამსვენებლები ერთი ადგილიდან მეორეში.

ქართველმა სპეციალისტებმა და მათმა კოლეგებმა — „საკმრეწვმექანიზაციის“ საპროექტო ორგანიზაციის თანამშრომლებმა უკვე შექმნეს ასეთი გზები. ამ გზების შესახებ საუბარი დაიწყო კიდული სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზების საკითხებისადმი მიძღვნილ სრულიად საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა თბილისში. მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ბაქოს, ოდესის, ხარკოვის, ვოლგოგრადისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მეცნიერები და ინჟინრები ოთხი დღის მანძილზე განიხილავენ ამ სახეობის ტრანსპორტის მნიშვნელოვან პრობლემებს.

კონფერენცია მოაწყეს რესპუბლიკის შავი მეტალურგიისა და სამთო საქმის სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებებმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის თბილისის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტმა, საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა.

გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ძიძიგურმა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს აცნობა:

— საქართველო ჩვენს ქვეყანაში სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზების მშენებლობის პიონერია. აქ ამ ბოლო ათი წლის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადასცეს 20-მდე სამგზავრო ჰაერბაგირის გზები და დაგეგმილია კიდევ ამდენივე გზის მშენებლობა. რესპუბლიკაში მუშაობს საჰაერო-საბაგირო გზების გაანგარიშებისა და დაპროექტების დარგის მკვლევართა და სპეციალისტთა სკოლა. კერძოდ, ჩვენს ინსტიტუტში, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. კალანდაძის ხელმძღვანელობით გაანგარიშებული და შესრულებულია პირველი მიწისქვეშა საბაგირო გზის სამუშაო ნახაზები, რომელიც შეიქმნა ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის სპეციალისტებთან ერთად. იგი უკვე დაამონტაჟეს და გადასცეს საექსპლოატაციოდ.



სურათზე: ამ საჰაერო-საბაგირო გზით შეგიძლიათ რუსთაველის მოედნიდან მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკში ახვიდეთ.

მაღლობას გიძღვნით

ძვირფასო თანამემამულენო!

კარგა ხანია, რაც ჩვენს სამშობლოში დაარსდა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება. შეიძლება ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს არც ესმოდეს ამ საზოგადოების მნიშვნელობა, არ სჭეროდეს თქვენი კეთილი ზრახვები ჩვენდამი; შეიძლება თვითონ მეც ერთერთი პესიმისტი ვიყავი წინათ ამ საკითხში, მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ თქვენ მართლა დიდ საქმეს აკეთებთ და ყოველმხრივ გვეხმარებით, განსაკუთრებით კულტურული კავშირის განმტკიცებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

თქვენი ჩემდამი გაწეული დახმარება ფასდაუდებელია, თქვენ მოიწვიეთ სტუმრად საქართველოში ჩემი შვილი გოგი დუიშვილი. არ ველოდი, თუ ასე მოკლე დროში მანდ ამდენი ცვლილება მოხდებოდა. დღეს ის ნამდვილ ქართველად გამომეცხადა, თითქოს საქართველოში ყოფილიყოს დაბადებული. ის მოხიბლულია საქართველოს ბუნებით, ქართველი ხალხის სულგრძელობითა და ტრადიციებით; დღეს იგი მე და აქ მცხოვრებ სხვა თანამემამულეთ გვიქადაგებს ქართულ ტრადიციებს, წარმოდგენილი არა აქვს თავისი ცხოვრება საქართველოს გარეშე; ყველას გვეუბნება: რას უზიხართ აქ, ამისთანა კარგი სამშობლოს შვილებიო და ბოლოს დასძენს: თქვენი არ ვიცი, მე კი ჩემი ცხოვრება საქართველოში უნდა დავამთავრო, ჩემი ენერგია საქართველოს შევალიო.

მე რასაკვირველია, აღტაცებული ვარ, როცა მისი ასეთი სიტყვები მესმის. იყო დრო (სანამ ის საქართველოში ჩამოვიდოდა), როცა პირდაპირ მეუბნებოდა: რა გამიჭირეთ საქმე თქვენი საქართველოთიო. დღეს ამას რომ გავახსენებ, ბოდიშს იხდის: — მაპატიე მამა, არ ვიცოდი, თუ საქართველო ასეთი კარგი იყო და ქართველები ასეთი საყვარელიო.

აი, რა გააკეთა თქვენმა საზოგადოებამ. საქართველოსათვის კი არა, ჩემთვისაც დაკარგული შვილი ნამდვილ გზაზე დააყენეთ. ახლა მეც შემიძლია ვთქვა, რომ შვილი მყავს—ქართველი შვილი.

ვიცი თქვენ ამისთანა კეთილი საქმე ბევრი გაგიკეთებიათ და მომავალშიც ეცდებით. გისურვებთ წარმატებას, ღირსეულ მადლობას ჩემს მაგიერ, აგრეთვე ჩემსავით დაკარგულ თანამემამულეთა მაგიერ ქართველი ერი გადაგიხდით. ერში მაინც დარჩება თქვენი კეთილი მოღვაწეობა. იყავით სულ კარგად და ჯანმრთელად. კეთილად დაგემთავრებინოთ თქვენი დაწყებული კეთილი საქმე.

თქვენი თანამემამულე დათიკო დუიშვილი.

ქ. სოშო,
საფრანგეთი.

სურათზე: გოგი დუიშვილი და მისი ბიძაშვილი თენგიზი.


საქართველოს არასოდეს დავივიწყებ

ორი თვე ვიმყოფებოდი საქართველოში. გავეცანი როგორც თბილისის, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხის ღირსშესანიშნაობებსა და ადათ-წესებს. ვინახულე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უცხო ენათა ინსტიტუტი, ღვინის პირველი ქარხანა და მრავალი სხვა. ვიმოგზაურე გორში, მცხეთაში, ბორჯომში, ქუთაისში, ბათუმში. ერთი კვირა გავატარე ჩემს დასთან სოფელ დუისში (კახეთი), თითქმის ორი კვირა ვისვენებდი შავი ზღვისპირას შესანიშნავ კურორტ ბიჭვინთაში. მოვიარე საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი და ვფიქრობ: ის ადგილები, რომელთა ნახვაც ვერ მოვასწარი, არანაკლებ ლამაზია.

ვტოვებ ლამაზსა და საყვარელ საქართველოს, სადაც დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი უფრო დიდხანს და მინდა ერთხელ კიდევ გადავუხადო გულითადი მადლობა პირველ რიგში უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებას და შემდეგ მთელ ქართველ ხალხს ჩემდამი გამოჩენილი ყურადღებისა და პატივისცემისათვის. საქართველოს არასოდეს დავივიწყებ. მივემგზავრები იმ იმედით, რომ მალე გინახულებთ უფრო მხიარულს, ჯანმრთელს და ბედნიერს.

გოგი დუიშვილი.

თბილისი, 1965 წელი.



დინ ჰოქსის მეორე სამშობლო

ეს მოხდა 1957 წელს მოსკოვში, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის დროს. ამერიკელმა **დინ ჰოქსიმ** პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. უკვე რვა წელიწადია იგი ამაყად იცავს სსრ კავშირის მოქალაქის ღირსებას.

რვა წელიწადი მცირე ხანი როდია ადამიანის ცხოვრებაში. დინისთვის კი ეს მთელი სიცოცხლე იყო. რამდენიმე თვეს იგი მუშაობდა სტავროპოლში რენტგენის კაბინეტში. იქვე შეიძია უმაღლეს სასწავლებელში, შემდეგ გადმოვიდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. ახლა დინი ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს თერაპევტული კლინიკის გრაფიკული კვლევის კაბინეტის გამგეა. მან კარგად შეისწავლა რუსული ენა.

— ამერიკაში, — თქვა დინმა, — ასეთ რამეზე ფიქრიც არ შემეძლო. სად არ მიმუშავნია! ვიყავი მძღოლი, მექანიკოსი, მღებავი, ტექნიკოსი — რენტგენოლოგი... მაგრამ უფრო ხშირად უმუშევარი დავეხეტებოდი. არსად არ მაჩერებდნენ. ექიმობა ჩემი ოცნება იყო.

ბევრი რამ შეუძლია თქვას დინმა „თავისუფალი ამერიკის“ ცხოვრებაზე. საოცარი სიღატაკე და საოცარი ფუფუნება... დინი გულისწყრომითა და აღშფოთებით იგონებს ერთ შემთხვევას, რომლის უნებური მოწმე იყო:

— საავადმყოფოში სანიტრად ვმუშაობდი, — იგონებს დინი, — სასწრაფო დახმარების მანქანამ საავადმყოფოში მოიყვანა ზანგი, რომელსაც სასწრაფო სამედიცინო დახმარება სჭირდებოდა. მაგრამ... ექიმმა პალატაში არ შემოუშვა: — აქ თეთრკანიანთა საავადმყოფოა, გაათრიეთ აქედან ეგ შავკანიანიო.

სანამ მოვძებნიდით საავადმყოფოს, რომელიც იმ უბედურს მიიღებდა, ზანგი გარდაიცვალა.

ერთხელ დინს ისიც კი შესთავაზეს, რომ ღვიძლი მამისათვის ეკაშუშნა.

— მაგრამ გვეყო მოგონებები, — იღიმება დინი, — ახლა ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ და ვმუშაობ ასეთ შესანიშნავ ადამიანებთან, ამ შესანიშნავ ქვეყანაში. ამიხდა ოცნება. თბილისში ცოლი შევირთე, ჭალიშვილიც შემეძინა.

ამას წინათ დინი შეხვდა დედამიწის 8 წლის განწორების შემდეგ ელენ ჰიუგომ როგორც იქნა ნახა შვილი.

— რასაკვირველია, დინი მწერდა, თუ როგორ ცხოვრობს, — თქვა მან, — მაგრამ ნათქვამია, ერთხელ ნახვა სჯობს ასჯერ გაგონებასაო. რაც თქვენს ქვეყანაში ვნახე, ყველა მოლოდინს გადააჭარბა. დავრწმუნდი, რომ ჩემი შვილი ნამდვილად ბედნიერია. მომწონს მის გარშემო მყოფი ადამიანები, მათი გულთბილი და მეგობრული დამოკიდებულება.

საბჭოთა კავშირში რომ მოვდიოდი, მხოლოდ შვილის ნახვა როდი მინდოდა. მინდოდა გავცნობოდი საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას. დინი ჩემი გიდი იყო საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს. მანქანით რამდენიმე ათასი კილომეტრი გავიარეთ უკრაროდიდან თბილისამდე. და ყველგან მხიარულ, მომღიმარ სახეებს ვხედავდი. ბევრი ძველი სახლი ვნახე, მაგრამ უფრო მეტი ახალი შენობა. ინტენსიურად მიმდინარეობს მშენებლობა. თქვენში განსაკუთრებით მძაფრად ვიგრძენი, რომ ცხოვრება ერთ ადგილზე არ დგას, განუწყვეტელ წინსვლაშია. და, რაც მთავარია, თქვენში ყველაფერი ხალხისათვის კეთდება.

— რამდენიმე დღის შემდეგ სინანულით დავეშვიდობები თქვენს სტუმართმოყვარე ქვეყანას, — თქვა დასასრულ ელენ ჰიუგომ. — დინი მოსკოვამდე მომაცილებს. **სავსებით გულდამშვიდებული მივდივარ. მეორე სამშობლოში ჩემმა შვილმა იპოვა ნამდვილი ცხოვრება.**





ილია რუხუა

უპბჯრო რაინდი

★

მოთხრობა

★

ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რომ ეტლმა გოლოვინის პროსპექტიდან ამოუხვია და ბორბლების გრიალით ვიწრო აღმართს შეჰყვა.

მყუდრო შესახვევთან ეტლიდან გადმოვიდა სურთუკში გამოწყობილი, ბრგე აგებულების ქერა კაცი. ის იყო, ზარის სახელურის ჩამოწევა დააპირა, რომ სადარბაზო კარი გაიღო და გამოჩნდა ასევე სურთუკიანი, მაგრამ ტანმორჩილი კაცი.

— ნიკო, გეძინა მაინც? — ჰკითხა ეტლით მოსულმა.

— არა.

— რატომ?

— ფიქრებმა წამიღეს, ჩემო ილია.

მათ კიდევ რამდენიმე სიტყვა გადაუღაპარაკეს ერთმანეთს და ეტლში ჩასხდნენ.

ეტლში მსხდომნი უხმოდ ათვალიერებდნენ ნაცნობ, ჩაწყნარებულ ქუჩებს. ილიას უნდოდა ლაპარაკის წამოწყება, მაგრამ თანამზავრის ფერმკრთალ და უძილო სახეს რომ ხედავდა, დუმილს არჩევდა. ნამდვილად ასე სჯობდა, რადგან ლაპარაკში, შესაძლოა, თავისი მღელვარება გამოემჟღავნებინა და ნიკოსათვის გადაედო.

ამ წყნარი და მოკრძალებული კაცის გვერდით მჯდომმა, კიდევ ერთხელ სცადა გარკვეულიყო მომხდარი ინციდენტის ვითარებაში. ილიას აქამდე ვერ გაეგო, მიუხედავად წინა დღის საუბრისა, რამ აიძულა ნიკო სიცოცხლე სასწორზე შეეგდო ვიღაც გალოთებული ოფიცრის გულისთვის. არ ახსოვს, რომ ეს კეთილშობილი და დარბაისელი კაცი, დიდთან და პატარასთან დამოკიდებულებაში თანაბრად ფაქიზი და კორექტული, ვინმეს შეურაცხეყო. ჩანს, ნამდვილად მოხდა პირად შეურაცხყოფაზე მეტი. სხვანაირად ნიკო წონასწორობას არ დაკარგავდა, სილას არ გააწნავდა იმ ღოთს.

ფუჭი გამოდგა ოფიცერთან შერიგების ყოველი ცდა. ნიკოს გაგონებაც არ უნდოდა.

„მერე და რომელი დუელში გამოწრთობილი კაცი ნახა ილია ზურაბიშვილი, სეკუნდანტობა რომ დამაკისრა. გიორგი ამირეჯიბი კიდევ ჰო, მესმის... ნიკოსავით უცხოეთში ნაცხოვრებს, სტუდენტთა შფოთიან წრეში გაზრდილს, დუელი შესაძლოა თამაშად უჩნდეს... მაგრამ მისი ცოდნა და გამოცდილება ნიკოს რას უშველის... სად თავზეხელაღებული სამხედრო პირები და სად ჩვენსავით უწყინარი ლიტერატორები...“

ნიკოს გადახედა. იგი დაფიქრებული იჯდა. მღელვარება თითქმის არ ეტყობოდა. ჩვეულებრივზე ფერმკრთალი ჩანდა მხოლოდ.

სწორედ ამ უძილო ღამით დაიბადა ნიკო ლორთქიფანიძის საწერ მაგიდაზე „გული“. სისავსისა და დასრულებულობის გრძნობა ჯერ ვერ მოეგვარა მწერლისათვის ამ შედევრს, მაგრამ მთლიანობაში რაღაცით კი მოსწონდა უკვე. ეს იყო მთავარი, ახლაც მინიატურის სტრიქონებს იხსენებდა, ჩვეული წუნიაობით უკირკიტებდა, რომ რაიმე ზადი არ გამოჰყოლოდა:

„მოკვდა.

დის ნაზ ხელს არ გაუსწორებია სასთუმალი, იდუმალის მწუხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს, ნაცნობებს არ მოუკითხავთ, უკანასკნელ წამს შენდობა არ მიუღია იმ მშვიდ, წყნარ ადამიანისაგან, რომლის ძალა აღარ სწამდა, მაგრამ დამამშვიდებელი სიტყვების მისგან გაგონება მაინც არ უნდოდა; დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები...

ამით ხომ არ დამეწყო?

არა! დის სინაზე ნაკლებად კეთილი როდია. მგონი ვიღაც ფილოსოფოსსაც აქვს ამაზე მთელი ტრაქტატი... თანაც, შემდეგ მოდის ფრაზა — „მოკვდა უცხოეთში“... ამ ფრაზის წინ დედაზე სიტყვის ჩამოგდება ამძაფრებს განწყობილებას, ხაზს უსვამს სიმორვსა და მიუსაფრობას... ჰო, შემდეგ?!

„...მოკვდა უცხოეთში.

— ათასი სნეულებით იყო ავად, არავითარმა წამალმა არ იმოქმედა — იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმი.

ცხედარი გაჭრეს“.

ცოტათი მშრალი ხომ არ არის ეს ადგილი?.. არა, აქ ნამდვილად ასეა საჭირო. თუნდაც იმიტომ, რომ შემდეგ პოეტურ პირობითობაში გადადის ხრობა.

„...პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

— შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?!

ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— ბატონებო, გული, გული სადღაა?

გულის მაგიერ ფერფლი-ღა დარჩენილიყო...“

ბეწვის ხიდიდან ხომ არ გადამიცდა ფეხი?.. რამდენად მართებულია თითქმის ყოფით ტონზე გადასვლა?

„...დეპეშით გაგებული უბედურებისაგან თავზარდაცემული დედა შევიდა შვილის ობლად დატოვებულ ოთახში. ქვითინებდა. სადაა შენი კარგი გული, მე რომ ჩაგიდგი საგულეში?“..

აქ, მგონი, მეტი სიზუსტეა საჭირო... დედის ზედმიწევნით დახასიათება მისივე სიტყვებში... ქართველი დედისა... უნდა ითქვას ის, რასაც იტყვის მხოლოდ ჩვენებური ქალი, გამწარებული დედა... მაინც რა, რა?..

ნიკომ შუბლი მოისრისა.

ეტლი უკვე დელისის ველზე მიჰქროდა.

ნიკომ რაღაც იგრძნო, წამიერი შეკრთომის მაგვარი. მაგრამ გრძნობა გონებაზე გადართო. უმალ, სწრაფად, თითქოს, ეშინია, მინიატურა ბოლომდე ჩაუმღერებელი არ დამრჩეს გულშიო...

„...კედლიდან პატარა რუჭამ გასცა პასუხი:

— მე დავაჭკნე!

— მე დავწვი! — გახმაურდა სურათი მაგიდაზე.

სიტყვები არავის გაუგონია“.

ყველაფერი რიგზე ეჩვენება ნიკოს... გარდა იმ ერთი ადგილისა... მართლა რას იტყოდა დედა?.. როგორ იტყოდა?.. თუნდ დედაჩემი, ამ დილით დუელში რომ მოკლან?.. ა?!

— აი, გიორგიც! — ჩაესმა ილიას ხმა ნიკომ მოიხედა.

უკან, მტვრის ოქროსფერ ბუღში ეტლი მოსდევდათ.

* * *

პირობისამებრ, ზუსტად ექვს საათზე დუელის ადგილას იყვნენ.

დუელიანტი და მისი სეკუნდანტები მოსული დახვდათ. მეოთხე, ექიმიც სამხედრო პირი იყო.

თუ კი ადამიანებზე გარეგნობის მიხედვით მსჯელობა შეიძლებოდა, ნიკოს მო-



ეს იუმორისტული ჩანახატები მხატვარ ა. კანდელაკს ეკუთვნის. პირველს (მარცხნიდან) ავტორმა უწოდა „დროის კვალდაკვალ“, მეორეს — „ბი, მიზეზი“, მესამეს „ორი სენსაცია“.

რასაც მაყურებელი ვერ ხედავს

თამბაქოს მოწევა არ შეიძლება, შესვლაც მხოლოდ საშვებით, გრძელ დერეფნებში სიწყნარეა. მძიმე ფარდებიან ოთახებში აპარატებთან თეთრხალათიანი ხალხი დგას... აქ ამუშავებენ კინოფირს.

ფილმის შექმნაში მონაწილეობს ასობით, ხშირად კი ათასობით კაცი. მაგრამ აი დგება მომენტი და გადაღებულ ლენტებს აბარებენ ხალხს, რომლებიც ნეგატივს იმ მკაფიო გამოსახულებად გადააქცევენ ხოლმე, რომელსაც ეკრანზე ვხედავთ.

ფირის დამუშავების პროცესი გამოსამჟღავნებელ საამქროში იწყება. სტუდია „ქართულ ფილმში“ ეს, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი საინტერესო საამქროა. აქ დადგმულია უახლესი საბჭოური ტექნიკა...

დღეს არ არის რეჟისორი, რომელიც არ ოცნებობდეს ფართოფორმატიან ფირზე, რომელიც ნამდვილ რევოლუციას მოახდენდა კინოში. ეს ფირი ჩვეულებრივზე ორჯერ განიერია, გამოსახულებასაც ჩინებულს იძლევა. მაყურებელი ეკრანზე მომხდარი ამბების მოწმედ გრძნობს თავს — იმდენად რელიეფურია კადრი.

ფართოფორმატიანი ფილმების საჩვენებლად საჭიროა სპეციალური აპარატურა. თბილისში ასეთი ფილმების ჩვენება შეუძლია კინოთეატრ „ოქტომბერს“. სტუდია „ქართულმა ფილმმა“ ახლახან შეიძინა ფართოფორმატიანი ფირის გამოსამჟღავნებელი მანქანა. ჯერჯერობით ამ მანქანას ჩვეულებრივი ფირის დასამუშავებლად იყენებენ. ქართველ კინემატოგრაფისტებს განზრახული აქვთ გადაიღონ თავიანთი პირველი ფართოფორმატიანი ფილმი.

გამოსამჟღავნებელი მანქანა ლენინგრადის ოპტიკურ-მექანიკურმა გაერთიანებამ შექმნა, მაგრამ მას შექმნაზე საფუძვლიანად იმუშავეს ქართველმა ინჟინრებმაც. საქმე ის არის, რომ დოზატორები, სამარჯვები, რომლებიც ავტომატურად განსაზღვრავენ ქიმიკალიების მიწოდებას მანქანაში, სრულყოფილი არ იყო. ქიმიური შემადგენლობის დარღვევა კი გავლენას ახდენს კინოფილმის ხარისხზე.

სტუდია „ქართული ფილმის“ ფირის დასამუშავებელი საამქროს ინჟინერმა იგორ დიშელმა და ოსტატმა გერმანე ვორონჩიხინმა შექმნეს სრულიად ახალი დოზატორი, რომელიც ზუსტად და შეუფერხებლად მუშაობს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კინოსტუდიის საამქრო, სადაც ყოველწლიურად დაახლოებით 10 მილიონ მეტრ ფირს ამუშავებენ, თავისი ტექნიკური აღჭურვილობით ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ აქ დადგმულია უახლესი აპარატურა. ფირის გადასაღებ განყოფილებაში დგას საბჭოური, ჩეხური, ფრანგული აპარატები. დიაფილმების ფირის გადასაღები აპარატი დაამზადეს ადგილობრივმა სპეციალისტებმა. ამ საამქროს კოლექტივი მიღწეულს არ სჯერდება, განუწყვეტლივ აუმჯობესებს კინოტექნიკას.

სხვანაირად არც შეიძლება იყოს. კინოს მომავალი ბევრად არის დამოკიდებული ტექნიკის განვითარებაზე და ამ საქმეში საგრძნობი წვლილი შეაქვთ ქართველ კინემატოგრაფისტებსაც.

ნააღმდეგის სეკუნდანტები მაშინვე მოეწონა! გახსაკუთრებით შტაბს-კაპიტანი — მაღალი, ახოვანი ოფიცერი, დახვეწილი სახის ნაკვთებითა და მშვიდი თვალებით.

„მაინც საიდან დაუგროვდა გულში ამდენი ღვარძლი? — ფიქრობდა ნიკო, — ვთქვათ, ვინმე პიროვნებამ აწყენინა... მაგრამ ყველას ასე გათათხვა, განურჩევლად და განუკითხავად?.. მაგას ვინა ვგონივართ?!“

სანამ დუელიანტები გვერდზე იდგნენ, სეკუნდანტები საქმეს მორჩნენ: მოფარებულ, მზისგან დაცულ ალაგას ნაბიჯებით მანძილი გადაზომეს და ბარიერებად ხმლები დაარჭვეს.

დუელიანტებს დამბაჩები მიაწოდეს.

ნიკოს არც დაუხედავს, არც ხელში მოუსინჯავს. მაშინვე ძირს დაუშვა.

მოწინააღმდეგემ, სამაგიეროდ, რამდენჯერმე ასწი-დასწია. უტიფრად მიუშვირა კიდეც და ცალი თვალით გაუჭვრიტინა.

ილიამ, ამასობაში, ნიკოს სურთუკის საყელო და ლაცკანები აუწია, გულმოდგინედ დაუფარა თეთრი პერანგის გულისპირი. რა ძნელი მოსახვედრი იყო! გახამებული პერანგის გულისპირისა და ზედ დამაგრებულ ჰალსტუხზე უკეთესი სამიზნო რა იქნებოდა.

ნიკოს არაფერი უთქვამს, მაგრამ მის თავშეკავებულ ღიმილს ნაცნობი ირონიული ელფერი კი გადაჰკრავდა.

თავის ბარიერთან უკვე მარტოდ დარჩენილმა ნიკომ თავისუფალი ხელით მშვიდად და აუჩქარებლად ჩამოიწია სურთუკის საყელო და ლაცკანები. თითქოს პერანგის გულისპირის უფრო გამოჩენა უნდაო, მკერდი გაშალა და ფეხი მოიცვალა.

იმ წუთსავე თვალი ჰკიდა ილიას შეშფოთებულ სახეს და მეგობრის მზერა რომ აეცილებინა, თავი გვერდზე მიაბრუნა.

— მოემზადეთ! — ნიკოს ესიამოვნა კიდეც გიორგის მშვენიერე ხმის გაგონება, რადგან ილია მისკენ ნაბიჯსაც ვერ გადმოდგამდა აწი...

თითქოს უსასრულოდ გაგრძელდა დუმილით გაყინული წუთები. შემდეგ კვლავ გაისმა გიორგის ხმა და მოწყვეტილი ტაშის შემოკვრა:

— ერთი!

პაუზა ახლა უფრო მოკლე იყო.

— ორი!

შემდეგ კიდევ უფრო მოკლედ ეჩვენა:

— სამი!

პორუჩიკი თითქმის მხედრული ნაბიჯებით მოვიდა ბარიერთან და დამბაჩა შეიმართა. მისი მარჯვენა თვალი თანდათან დაფარა დამბაჩის ტარზე შემოჭდობილმა ხელმა. ახლა ნიკოს ორი ბნელი, ავისმზრახველი თვალი შესცქეროდა—ადამიანისა და დამბაჩისა. დამბაჩის ლაპლაპა ტუჩის ციმციმით დაასკვნა, რომ პორუჩიკს ხელი უკანკალებდა:

„საბრალო!“

ამის გაფიქრება და ბოხი ჭახანი ერთი იქნა. ნიკომ ინსტინქტურად თავი ოდნავ მარჯვნივ გადასწია. ტყვიამ იმდენად ახლოს გაუარა, ზედ საფეთქელთან, რომ გაუკვირდა — ნუთუ ფეხზე ვდგავარო.

საპასუხო სროლა არ გაუჭიანურებია. პირდაპირ ადგილიდან, ბარიერთან მიუსვლელად, გაისროლა. ისე, ალალბედად.

ვიდრე სეკუნდანტები დამბაჩებს ტენიდნენ, კვლავ შეავლო თვალი პორუჩიკს. იგი ერთთავად თვალებს ახამხამებდა და მღელვარებისგან გამშრალ ტუჩებს ილოკავდა.

„საცოდავი!.. თუ მეორედაც ამაცილა, მაგისი ჯარიერა მორჩა... ნაცემს, დამცირებულს, ოფიცერთა რომელი საზოგადოება მიიღებს თავის წრეში... ახლა, ალბათ, უფრო ეცდება...“

მართლაც დამბაჩას მოწადინებული გულმოდგინებით უმიზნებდნენ, უფრო ხანგრძლივად.

ამჯერად მხოლოდ გასროლის ხმა გაიგონა.

„მორჩა“...

თითქოს ამის აღსანიშნავად და არა დუელის ეთიკისათვის, დინჯად, სახიდან მოუშორებელი იმავე ირონიული ღიმილით, დამბაჩა სადღაც სივრცეში დაცალა, პორუჩიკის პატარა ფიგურის გვერდზე.

როცა მოწინააღმდეგის სეკუნდანტებმა თავაზიანი ხელის ჩამორთმევით მშვიდობით გადარჩენა მოულოცეს, ნიკო საბოლოოდ დარწმუნდა, რომ უყელაფერი დამთავრებული იყო. რაღაცაზე გული დაწყდა.

ნიკომ ყოფილი მოწინააღმდეგისაკენ გაიხედა. თითქოს ამ გამოხედვას ელოდაო, პორუჩიკმა შორიდანვე თავი დაუკრა, საფეთქელთან ხელის მიტანით.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ის საბრალო ხომ დაიღუპა! -- უთხრა ნიკომ მეგობრებს, როცა ეტლში ჯდებოდა.

დუელგადახდილი პორუჩიკი, ექიმთან ერთად, ოფიცრებმა სამხედრო ეტლით გაისტუმრეს.

სეკუნდანტები კი საარტილერიო დივიზიონის შტაბში წავიდნენ და კიდევ ერთი აქტი შეადგინეს დუელის მიმდინარეობის აღწერილობით.

ის იყო ოქმს ხელი მოაწერეს, რომ ოფიცრები სამხედრო პატივის მიგებით წინ გამოეჭიმნენ ნიკოს სეკუნდანტებს.

ილიამ ფეხზე სწრაფად წამომდგარ გიორგის გაკვირვებული თვალებით გადახედა და თვითონაც წამოდგა.

— მოწყალენო ხელმწიფენო! — დაიწყო შტაბს-კაპიტანმა რამდენადმე საზეიმო, მაგრამ გულითადი ტონით. — ნება გვიბოძეთ გამოვთქვა ჩემი და ჩემი ამხანაგის აღტაცება თქვენი მარწმუნებლის განსაცვიფრებელი მოქმედების გამო. გასაკვირი როდია, ჩვენ, სამხედრო ხალხი, სიკვდილს ვუყურებდეთ როგორც ჩვეულებრივ მოვლენას... მაგრამ როდესაც ვხედავთ ადამიანს პარტიკულარულ ტანისამოსში, რომელსაც საბედისწერო ჟამს ესოდენ ღირსეულად უჭირავს თავი, ამას არ შეუძლია ჩვენი აღტაცება და პატივისცემა არ გამოიწვიოს, ბატონებო... ჩვენ დიდი ყურადღებით ვადევნებდით თვალს თავად ლორთქიფანიძეს დუელის დროს... ყოველმა მისმა მოძრაობამ, ფიზიკურმა თუ სულიერმა, აშკარად გვიჩვენა, რომ იგი ჭეშმარიტი რაინდია, უშიშარი და უმწიკვლო, რომელსაც შესწევს ძალა სიკვდილიც კი აბუჩად აიგდოს თავისი ადამიანური ღირსებების დაცვის დროს.

შტაბს-კაპიტანმა ჩაახველა და აჩქარებული, მაგრამ უფრო დაწმენდილი ხმით დასძინა:

— სამწუხაროდ, ეს ჩვენ პირადად ვერ განვუცხადეთ თავადს ბრძოლის ველზე, რადგან ეს დიდი დამცირება იქნებოდა ჩვენი ისედაც დამცირებული ამხანაგისა. ამიტომ თქვენა გთხოვთ, ბატონებო, გადასცეთ თავადს ჩვენი გულწრფელი სიტყვები და უღრმესი პატივისცემა.

იმას, ვისთვისაც ეს სიტყვები იყო განკუთვნილი, ეტლი შინისაკენ მიაქროლებდა.

ნიკო კმაყოფილი და სულიერად ამაღლებული იყო, თუმცა გარეგნულად ჩვეულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. მან იპოვა ის, რასაც დილიდანვე ეძებდა... ზუსტად ის სიტყვები,, რომელიც უნდოდა... რომელსაც იტყოდა ქართველი დედა... მხოლოდ ის და სხვა არავინ.

„ასე გამომიმეტე ქვრივ-ობერი?.. სადაა შენი კარგი გული, ამდენი ვაით და უით რომ ჩაგიღვი საგულეში?“

თავისთვის იმეორებდა, ჩურჩულებდა ამ სიტყვებს, რომ არ დავიწყნოდა, არ გადაბრუნებოდა.

ეტლი ნაცნობ აღმართს შეჰყვა. აქედან კარგად ჩანდა სახლი, საიდანაც ალიონზე გამოვიდა, რომ სიკვდილს პირისპირ დადგომოდა.

ახლა ბრუნდებოდა გამარჯვებული. მაგრამ ამ გამარჯვებაზე როდი ფიქრობდა.

მას ახსოვდა მხოლოდ დედის სიტყვები, სანუკვარი შვილისთვის შენახული სათუთი სიტყვები.

ეროვნული სცენის დიდოსტატი

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვასო გოძიაშვილის დაბადების 60 წლისთავის გამო

ვასო გოძიაშვილი ქართული საბჭოთა თეატრის დაფნის გვირგვინია, კეთილშობილი დაფნისა, რომლის ფოთოლთა სურნელება საამოდ ეფინება ხოლმე სცენურ ხელოვნებას და მსმენელ-მაყურებელს ატკბობს და აჯადოვებს...

ვასო გოძიაშვილი თავისი მომადლებული ნიჭით და სცენური უშუალობით, თავისი ძალდაუტანებელი შემოქმედებით, მის მიერ შესრულებულ გმირთა სახეებს, ამა თუ იმ როლის შინაგანი ხასიათის მიხედვით აკეთილშობილებს, აგემრიელებს. მაყურებელიც მისი მხატვრული ოსტატობით მოხიბლული, სულიერად და გონებრივად დამტკბარი და ესთეტიურად კმაყოფილი ბრუნდება და ვასოს მიერ ჩამოძერწილი გმირთა სახეები განუყრელ თანამგზავრად რჩებიან ხოლმე მათ მეხსიერებაში. აი, სწორედ რომ ეს არის ჭეშმარიტი შემოქმედის მაგიურობა, რითაც ასე უხვად არის დაჯილდოვებული ეს მაღალნიჭიერი მსახიობი.

ვასო გოძიაშვილი ხომ სცენური სიმართლის უშრეტი წყაროა, იგი სცენაზე ხომ მუდამ ლაღია და თავისუფალი, მას როლისათვის სიმართლის მიგნების ძიება არ ჭირდება, არ ჭირდება იმიტომ, რომ იგი ჭეშმარიტი შემოქმედია და სცენური სიყალბე და მოჩვენებითობა მისთვის უცხო ხილია, იმიტომ, რომ ვასო ჩვენ სინამდვილეში რეალისტური სკოლის საუკეთესო წარმომადგენელთაგანია.

ვასო გოძიაშვილი სრული განსახიერებაა თანამედროვე მსახიობისა, იგი უაღრესად მუსიკალურია, რითმულია, პლასტიურია, მისი სცენაზე საუბარი მრავალფეროვანი და ცხოვრებისეულია. ამიტომაც არის, რომ იგი ანდამატივით მიმზიდველია. მუსიკალური ენით რომ ვთქვათ, ვასო თავის ხმას ყველა რეგისტრებში თანაბრად ფლობს.

რომელი კუთხითაც არ უნდა მივუდგეთ გოძიაშვილის შემოქმედებითი ღირსების შეფასებას, ყველგან ვხედავთ, რომ იგი თანამედროვე ხელოვნების მუშაკთა ბრწყინვალე წარმომადგენელია, როგორც საზოგადო მოღვაწე და როგორც მრავალფეროვანი მაღალი ღირსების მსახიობი, მსახიობი რომელიც თავისი უტყუარი ნიჭის მეშვეობით, თანაბრად ამშვენებს როგორც მისთვის სანუკვარი თეატრის სცენას, ისე კინოსა და ესტრადას.

ვასო გოძიაშვილის შემოქმედების მრავალფეროვნების დამადასტურებელია ისიც, რომ იგი თანაბარი სიძლიერით ძერწავს როგორც სახასიათო, ისე დრამატულ და ტრაგიკულ როლებს. მისთვის არ არსებობს პატარა და დიდი როლი.

იგი სულითხორცამდე ეროვნული მსახიობია. ამიტომაც იყო, რომ მან დიდი ილიას ლუარსაბის სახის სცენაზე გაცოცხლებით, აქტიორული შესაძლებლობის მწვერვალს მიაღწია. ქართულ თეატრში პირველად ვასომ შესძლო დიდი მოაზროვნე მწერლის ილია ჭავჭავაძის გაგების სიმაღლემდე აეყვანა ლუარსაბის სახე და იგი ხორცსხმული დაეხატა.

ვასო გოძიაშვილი თავისი ნიჭით, მსახიობური ოსტატობით და სცენური სიმართლით ნამდვილად ქართული თეატრის სურნელოვანი დაფნის გვირგვინის ძარღვიანი შტოა.



ვასო გოძიაშვილი.

წლები და შეხვედრები

1924 წელს დავბრუნდი გერმანიიდან, სადაც ქანდაკების ხელოვნებას ვსწავლობდი. საზღვარგარეთ ყოფნისას ბევრი თეატრი მოვინახულე, მრავალი მსახიობი გავიცანი. მომწონდნენ სანდრო მოისი, ვერნერ კრაუსი, იანინგსი და სხვანი.

სამშობლოში ჩამოსულს უკვე ჩამოყალიბებული თეატრი დამიხვდა. კოტე მარჯანიშვილს გარს შემოეკრიბა ახალგაზრდა მსახიობთა დასი. გავიგონე პირველად ეს სახელი: ვასო გოძიაშვილი!

ვასო გოძიაშვილი!..

ვასო გოძიაშვილი!..

და აი, სცენაზე დავინახე სრულიად ახალგაზრდა, მჭერმეტყველი, მშვენიერი ხმისა და დიდი პლასტიური უნარის მქონე, ასაკის მიუხედავად მაღალი კლასის მსახიობი.

ვასო, მახსოვს, კრისტი მეგონის როლში ვნახე. ეს როლი მსახიობისაგან უდიდეს ტექნიკას მოითხოვდა და მაშინაც კი ვასო გოძიაშვილს წუნი არ დაედებოდა.

კომედიური მსახიობის ხალასი ნიჭით დაჯილდოებულნი ცოტანი იყვნენ ჩვენში. სულ რამდენიმე მახსოვს ასეთი: გელეკურაშვილი, გოცირიძე და დიდი ვ. აბაშიძე. კომედიის მსახიობი უაღრესად განვითარებული უნდა იყოს. იგი მარტო ფიზიოლოგიური საშუალებებით კი არ უნდა იწვევდეს სიცილს, არამედ ფსიქოლოგიურითაც. ორივე თვისება თანაბრად უნდა იყოს შერწყმული მსახიობში.

ვ. გოძიაშვილი ყოველთვის ახდენდა ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას თავისი ინტელექტით, კომედიური ნიჭით. ყოველთვის მხიბლავდა მისი მაღალი კულტურა და ოსტატობა. თავიდანვე იგი სწორედ იმ გზას დაადგა, რა გზითაც მიდიოდა ვ. აბაშიძე. დიდ ოსტატობასთან შეხამებული დიდი ინტელექტი, მსახიობური პალიტრის უშრეტობა, იმპროვიზაციის ნიჭი უაღრესად ფართო დიაპაზონი ახასიათებდა მუდამ ვასო გოძიაშვილს, მაგრამ მისი ოსტატობის უმაღლეს გამოვლინებად მაინც მისი ლუარსაბ თათქარიძე მიმაჩნია. ეს სახე პირდაპირ განუმეორებელია, სხვა რომ არაფერი ეთამაშა, ესეც საკმარისი იქნებოდა მის უკვდავსაყოფად.

მე დიდად მიხარია, რომ კვლავ შევხვდი ვასოს მისთვის 60 და ჩემთვის 70 წლის მიჯნაზე. ჩემს ბოლო ფილმში იგი უსტაბაშის როლს თამაშობს. მის მიერ კინოში შესრულებულ რამდენიმე როლიდან ესეც უაღრესად თვალსაჩინო როლია. მიხარია, რომ კიდევ ერთხელ გავახარეთ მისი ნიჭის თაყვანისმცემლები.

მიხეილ ჭიაურელი,
კინორეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

სახელოვანი

დღესაც გულს მაკლია, რომ დაუხატავი დამრჩა შესანიშნავი სცენური სახე ლუარსაბ თათქარიძისა, რაც უბადლოდ განახორციელა ვასო გოძიაშვილმა; იშვიათად მინახავს მე სცენური სახე, რომელიც ამდენად დაახლოებული იყოს ჩვენს წარმოდგენასთან ლიტერატურულ გმირზე. ვასო გოძიაშვილი უაღრესად ქართული ბუნების მსახიობია. სცენაზე, ესტრადასა და ეკრანზე მას შემოაქვს სიხალისე, სიცოცხლის წყურვილი, მხნეობისა და სიხარულის შთაგონება. ამიტომაც ვასო გოძიაშვილი ხალხის საყვარელი მსახიობია.

თავისი შემოქმედებით ვასო გოძიაშვილი წვდება ურთულეს და უძნელეს როლებს დრამატული რეპერტუარიდან. ამის მაგალითია ახმა და რიჩარდ III. მე სიამოვნებით მოვხაზე ვასოს მიერ შექმნილი სახე შექსპირისეულ ტრაგედიაში, იმედს არ ვკარგავ, რომ მალე შევძლებ გოძიაშვილისეული ლუარსაბ თათქარიძე შევმატო ჩემ სცენურ ჩანახატებს და მით გამოვხატო მადლიერების გრძნობა ჩვენი დროის სახელოვანი მსახიობისადმი.

უჩა ჯაფარიძე,
სსრ კავშირის სახალხო მხატვარი.

დაგაძახებ, მოგვლიან

შვილების ძახილი

ჩვენი მამა დიდი სამამულო ომის დროს დაიკარგა უგზოუკვლოდ.

ორი შვილი დავრჩით გიორგი ლომიძეს. ჩემი ძმა სამი წლისა იყო, მე კი ცხრა დღისა დავუტოვებივარ მამას. არასოდეს არ მიგრძვნია მამის სიყვარული და მზრუნველი ხელი, არასოდეს არ მითქვამს სიტყვა მამა.

პირველ ხანებში მამა ქერჩის მისადგომებთან იბრძოდა, შემდეგ კი სტალინგრადთან.

ორი წლის მანძილზე მოჰქონდა მამის წერილები სოფლის ფოსტალიონს ჩვენთან. მამა ყოველთვის იმედიანად იწერებოდა „ძვირფასო ოლია! ცოტაც კიდევ და ბოლოს მოვუღებთ ჩვენს მტრებს და კვლავ შევუდგებით მშვიდობიან ცხოვრებასო“, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა, ვერ დაუბრუნდა თავის მყუდრო ოჯახს.

1944 წლიდან მამისაგან წერილებმა იკლო და ჩვენს ოჯახს უიმედობის გრძნობა დაეუფლა. ქერჩის მოლოდინში გაჭაღარავდა დედა. ახლა, როცა ჩაჯდება შვილებში და შვილიშვილებში, ხშირად გვეტყვის ხოლმე „ეჰ, რატომ ვერ მოესწრო საწყალი გიორგი თქვენს დაზრდას და დაოჯახებასო“...

დავიზარდეთ უმამოდ, ამუამად ვცხოვრობთ თბილისში. ჩემი ძმა მუშაობს თბილგვირაბმშენის მშენებლობაზე ელექტროტექნიკოსად, მე კი—სტამბაში. გვაქვს მყუდრო და ტკბილი ოჯახი. ვცხოვრობთ ჩვენი შრომით და ვამაყობთ ჩვენი პატიოსნებით. არასდროს არ შეგვირცხვენია მამის სახელი და პატიოსნება. მაგრამ გულის ნახევარი ცარიელია, გულს მამის სითბო აკლია. ხშირად მიფიქრია „იქნებ ცოცხალია სადმე ჩვენი მამა?“

იქნებ ცოცხალია გიორგი ლუკას ძე ლომიძე? იქნებ შეგხვედრიათ ბრძოლის დროს? იქნებ თქვენს გვერდით იბრძოდა? ეგებ მიაწვდინოთ ჩვენი ძახილი თუ ცოცხალია, და თუ დაიღუპა, ისიც როგორმე შეგვატყობინეთ.

ზაირა ლომიძე.



მარლენ დავითაშვილი.



არჩილ დავითაშვილი.



გიორგი მჟავანაძე.

მჟავანაძეს გიორგი (გოგია) ისიდორეს ძეს, დაბადებულს 1920 წელს ვანის რაიონის სოფ. ზედა გზვანში, ეძებს დედა — ნადია საბას ასული მჟავანაძე.

ჯიბაშვილს შალვა გიორგის ძეს, ეძებს ძმა — ლავრენტი გიორგის-ძე ჯიბაშვილი, მცხოვრები გათუმში.

ჩარგაზიას ბესარიონ სევერიანეს ძეს, დაბადებულს გეგეჭკორის რაიონის სოფ. კურზუში, ეძებენ შვილები — ლამარა და გოგოშა ბესარიონის ასული ჩარგაზიები.

ძმებს დავითაშვილებს არჩილ (დაბადებული 1920 წელს) და მარლენ (დაბადებულს 1924 წელს) ივანეს ძეს, ეძებენ მშობლები: მამა— ივანე ზაქარიას ძე და დედა — გაიანე გივის ასული დავითაშვილები.

კეზელს ოთარ გიორგის ძეს, დაბადებულს 1918 წელს ქ. თელავში, ეძებენ მშობლები: მამა — გიორგი კონსტანტინეს ძე და დედა — თამარ კონსტანტინეს ასული კეზელები.

შავდიას ოთარ გრიგოლის-ძეს, დაბადებულს 1921 წელს თბილისში, ეძებენ: დედა — სალომე; და — ეთერ შავდიები.

კიზივაძეს ივანე პავლეს-ძეს, დაბადებულს 1914 წელს, ეძებს დედა — ანიჩქა ტარასის ასული კიზივაძე.

კვანტალიანს ვარლამ (ჰიჰიკო) ლავრენტის ძეს, დაბადებულს 1919 წელს აბაშის რაიონის სოფ. სამიქაოში, ეძებენ: მამა — ლავრენტი, დები — ნინა და ტანია, ძმა — დავით კვანტალიანები.





ჩემო უნახავო, საყვარელო მამა!

ამ წერილს გწერს შენი ვაჟიშვილი — ჰამლეტი სეფიაშვილი, რომელიც დატოვე სულ პატარა (სამი თვის).

ჩემო მამა! ნეტავ თუ სადმე ხარ და მე კი არ ვიცი?! ვწერ ამ წერილს და იმედი მაქვს, რომ თუ კი სადმე ხარ, აუცილებლად მომაწვდენ შენს მამობრივ საყვარელ ხმას და 25 წლის უნახავ შვილს გამახარებ.

ჩემი დედის მზრუნველობით, რომელიც დღემდე შენს მოლოდინშია, დავამთავრე საინჟინრო და ვმუშაობ ჩემი სპეციალობით, ვცხოვრობთ კარგად, მხოლოდ ჩემს გულს აკლია შენი მამობრივი ალერსი.

ჰამლეტ იოსების-ძე სეფიაშვილი.

• • •

სურათებზე: ზემოთ, მამა — იოსებ (იური) არონის ძე სეფიაშვილი (დაბადებული 1916 წელს); ქვემოთ შვილი — ჰამლეტ იოსების ძე სეფიაშვილი.

სოფელი—ქალაქურად

თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ავტოსარემონტო სახელოსნომ წელს 160 გასვლა მოაწყო. სოფლებში იციან, როდის და რამდენი ხნით ჩავა მათთან ავტოსარემონტო სახელოსნო. მისი მოძრაობის გრაფიკი გამოქვეყნდა რაიონულ გაზეთში. გრაფიკს გაეცნო ყველა კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობის მუშა. თერძები, მეწაღეები, მესაათეები, ტელევიზორების, რადიომიმღებების, საოჯახო მოხმარების საგნების შემკეთებელი ოსტატები მოემსახურნენ ერტისის, ბორბალოს, მანგლისის, ასურეთის, დურნუკისა და სხვა სოფლების მცხოვრებლებს.

მთის ბევრი სოფელი დაშორებულია რაიონულ ცენტრს. ამის მიუხედავად კომბინატის მუშაკებს როდი ავიწყდებათ მათი მცხოვრებნი. მოძრავი სახელოსნო ზამთარ-ზაფხულ დადის მწყემსებთან საძოვრებზე, ასრულებს მათ შეკვეთებს.

„ქალაქურად მოვაწყოთ სოფელი“. რაიონში ამ დევიზით დიდი მუშაობა წარმოებს მინდვრებისა და ფერმების მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის. ამ ბოლო ორ-სამ წელიწადში საყოფაცხოვრებო მომსახურების ადგილობრივი კომბინატის სამუშაოთა მოცულობა 10-ჯერ გაიზარდა. საყოფაცხოვრებო კომბინატის მუშაკებმა გაარემონტეს სოფლის მშრომელთა 10 სახლი. კარგი სიტყვით იხსენიებენ კომბინატის დურგლებს, ხუროებს, მხურავებს თეთრი წყაროს საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა, სოფელ დურნუკის არტელის კოლმეურნეთა ოჯახები.

რაიონის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მშრომელებს 120 ავტომანქანა ჰყავთ. ახლა მათ მფლობელებს თბილისში აღარ სჭირდებათ გამგზავრება, როცა ავტომანქანა გაუფუჭდებათ. რაიონულ ცენტრში შეიქმნა ავტოპროფილაქტორიუმი, სადაც სწრაფად და იაფად შეაკეთებენ დაზიანებულ ნაწილებს, შეცვლიან უწესივრო დეტალებს, შეამოწმებენ მანქანას.

ბევრ სოფელში გაიხსნა გამქირავებელი პუნქტები, სადაც სოფლელებს შეუძლიათ იქირაონ მტვერსასრუტი, ტელევიზორი, რადიომიმღები, სხვადასხვა ელექტროხელსაწყო და საოჯახო მოხმარების სხვა საგნები. შემკვეთის სურვილით მოდების ატელიეში შეკერილი კოსტუმები, პალტოები, კაბები, შეკეთებული ფეხსაცმელი შინ მიაქვთ შემკვეთთან.

სოფლის მშრომელებს მეტად მოეწონათ მექანიკური სამრეცხაოები, რომლებიც მანგლისსა და თეთრ წყაროში შეიქმნა. თვითეულ სამრეცხაოს შეუძლია თვეში 14 ტონამდე თეთრეული გარეცხოს. ამ სამრეცხაოებში მომხმარებელს შეუძლია სარეცხი თვითონ გარეცხოს. თვითმომსახურების მაგიდები არის სადალაქოებშიც.

საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი სამომხმარებლო კოოპერაციის მეპაიეთა შეკვეთებს 10 პროცენტის ფასდაკლებით ასრულებს. რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურება ხშირად ქალაქისას არ ჩამოუვარდება. ეს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის კოლექტივის დიდი მიღწევაა. კომბინატის კოლექტივს მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მიენიჭა ცეკავშირისა და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელი.

1965 წლის სპორტული მოსავალი

გადაიფურცლა 1965 წლის კალენდრის უკანასკნელი ფურცელი, ჩვენს წარმოდგენაში დამთავრდა წელიწადი და დაიწყო ახალი.

ახალი წელი!

ყოველთვის როცა ვხვდებით ახალ წელს, ადამიანებს გვჩვევია კიდევ ერთხელ გადავხედოთ წარსულს, შევაჯამოთ განვლილი.

ცხოვრებას მრავალი სფერო აქვს. ჩვენ კი სპორტზე ვისაუბრებთ. ესეც ხომ ნაწილია ჩვენი ყოფისა. ძველი ბერძნები იტყოდნენ: „ჯანმრთელ სხეულში, ჯანმრთელი სულიაო“.

ქართული სპორტი! დღეს იგი ერთ-ერთი წამყვანი უბანია იმ დიდი საბჭოთა სპორტისა, რომელიც დიდ გამარჯვებებს აღწევს საერთაშორისო სარბიელზე.

ტრადიციაა ყოველი წლის ბოლოს 10 საუკეთესო სპორტსმენის დასახელება. სპორტული ჟურნალისტები ავსებენ ანკეტებს და ასახელებენ ათ საუკეთესოს. და რამდენად სასიხარულოა, რომ საბჭოთა კავშირის № 1 სპორტსმენად დასახელებულია 21 წლის ქართველი სპორტსმენი, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, მსოფლიოს ჩემპიონი სპრინტერულ რბოლაში ომარ ფხაკაძე. ბუნებრივია, როდესაც საქართველოს ჟურნალისტები რესპუბლიკის ათ საუკეთესოს ასახელებენ, პირველი ადგილი მათაც ომარს მიაკუთვნეს.

ვინ დაიკავა დანარჩენი ცხრა ადგილი საქართველოში? თანმიმდევრობით ესენი არიან — ნონა გაფრინდაშვილი, გურამ საღარაძე, სლავა მეტრეველი, ალექსანდრა ჯანუყაშვილი, ალექსანდრე მეტრეველი, იური დიაჩკოვი, ზურაბ საპანდელიძე, ზარიგემ გერიაშვილი, გუხუტი გურგენიძე.

ომარ ფხაკაძე — ესპანეთის გაზეთებმა მას „ტრეკის ვეფხვი“ შეარქვეს. სან-სებასტიანის გმირმა გააკეთა ის, რაც აქამდე ვერცერთმა საბჭოთა სპორტსმენმა ვერ შეძლო, იგი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა სპრინტერულ რბოლაში. ქართველმა ჭაბუკმა ოქროს ასოებით ჩაწერა თავისი გვარი საბჭოთა სპორტის ისტორიაში.

ნონა გაფრინდაშვილი — ამ სახელს ყველა ქართველი იცნობს და განა მარტო ქართველი? ნონა ყველაზე პოპულარული ქალია საქართველოში. ამ თავმდაბალმა და ჭკვიანმა ფანატიკურად შეყვარებულმა ქალიშვილმა წელს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უძლიერესია და ბრწყინვალედ დაიცვა თავისი ტიტული მოსკოველ ალა კუშნირთან ორთაბრძოლაში. ნონას სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში ქალთა ჭადრაკის წარმატება და ის მიღწევები, რომლებიც მათ აქვთ. რამდენი გვარის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ერთიც კმარა. ამმავალ ვარსკვლავად ითვლება 16 წლის ნანა ალექსანდრია, საქართველოს 1965 წლის ჩემპიონი.

გურამ საღარაძე — ჯერ იყო და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა, შემდეგ კი ინგლისის ქალაქ მანჩესტერში მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლით მეორეჯერ დაიმშვენა მკერდი. დინჯი და აუღელვებელია გურამი ხალიჩაზე, დათვივით ნელა მოძრაობს, მაგრამ თუ მოიგდო მოწინააღმდეგე, მერე სწრაფიც არის და მკვეთრიც, ძლიერიც და სპორტულად ულმობელი.

და რადგან ჭიდაობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მოდით ვთქვათ. წელს მრავალი ოქრო მოიპოვეს ქართველმა ფალავნებმა. ჯერ იყო და ოქროს მედლები ჩამოიტანეს ძიუდოისტებმა ევროპის პირველობიდან — აბსოლუტურმა ჩემპიონმა ანზორ კიკნაძემ, ოქროს მედლები საკავშირო პირველობიდან —თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ტარიელ ალიბეგაშვილმა, სპარტაკ ქარსაულიძემ, შოთა ლომიძემ. საქართველოს თავისუფალ მოჭიდავეთა გუნდი ზაფხულში პროფკავშირთა სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა, სულ ახლახან კი საბჭოთა კავშირის გუნდური პირველი ადგილი მოიგო.

სლავა მეტრეველი — თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა ნაკრების მარჯვენა გარემარბი. ქურციკივით სწრაფი, საოცრად მსუბუქი და ამავე დროს ძლიერი. მის სახელთან საბჭოთა ფეხბურთის მრავალი წარმატებაა დაკავშირებული ევროპისა და სამხრეთ ამერიკის სტადიონებზე. სლავა მეტრეველთან ერთად საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდში დგანან მიხეილ მესხი, მურთაზ ხურცილავა. წინ მსოფლიოს პირველობაა ინგლისში. იქ ვიხილავთ ქართველ ფეხბურთელებს მომავალ წელს.

ალექსანდრა ჯანუყაშვილი — მან ბევრი ალაპარაკა. არავინ მოელოდა, რომ ახალგაზრდა ქართველი ოსტატი მესამე საპრიზო ადგილს დაიკავებდა საკავშირო პირველობაზე და წინ გაუსწრებდა ლარისა ლატინინას, რომელმაც უკვე ათი წელია დამარცხება არ იცის. მრავალჭიდში მესამე ადგილი მართლაც შესანიშნავი მიღწევაა. ბევრმა სენსაციად აღიქვა მისი წარმატება, მაგრამ ეს ასე როდია. ჩვენ კიდევ გნახავთ, ახალ 1966 წელში ალექსანდრას წარმატებებს.

ალექსანდრე მეტრეველი — ჟურნალისტები ხშირად ხუმრობენ: როდემდის უნდა იყოს ალექსანდრე № 2 ჩოგბურთელი. თუმცა წელს მან ბრწყინვალედ მოიგო მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი, სადაც ჭინეთში თავისი მუდმივი მეტოქე თ. ლეიუსი დაამარცხა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე ლეიუსთან ფინალურ შეხვედრაში ვერ მიაღწია საწადელს და კვლავ მეორე ადგილს დასჯერდა საკავშირო პირველობაზე. ლეიუსთან შედარებით მას ერთი უპირატესობა აქვს, იგი უფრო ახალგაზრდაა. დავა პირველობისათვის ორ უძლიერეს შორის გრძელდება და იმედია ახალ 1966 წელში იგი ქართველი სპორტსმენის სასარგებლოდ გადაწყდება.

იური დიაჩკოვი — სპორტულ ოჯახში აღიზარდა და რა გასაკვირია დედისა და მამის კვალს, რომ გაჰყვა. მამა მძლეოსნების მწვრთნელია, დედა კი? წარსულში ცნობილი მძლეოსანი ნინო დუმბაძე. ამიტომ ბუნებრივია, რომ შვილმაც ეს გზა აირჩია და აი პირველი წარმატება. წელს ალმა-ატაში გამართულ საკავშირო პირველობაზე ი. დიაჩკოვი პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი მძლეოსნურ მრავალჭიდში.

ზურაბ საპანდელიძე — კალათბურთის ქვეყანაში — ამერიკაში მასზე ამბობდნენ, რომ იგი კალათბურთისთვის არის დაბადებულიო. ოცი წლის ზურაბი პირველსავე წელს როგორც კი გამოჩნდა თბილისის „დინამოში“, ნაკრებში მიიწვიეს და ევროპის ჩემპიონი გახდა.

ზარიგემ გერიაშვილი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მსუბუქ წონაში, მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი. იგი განსაკუთრებით უყვართ თბილისელებს ჭიდაობის რაღაც თავისებური უჩვეულო მანერით და განა მარტო ზარიგემ ისახელა თავი. ჩვენ ზემოთაც გვქონდა ლაპარაკი, მაგრამ მაშინ არ ვახსენეთ კლასიკური სტილით მოჭიდავეები სსრ კავშირის 1965 წლის ჩემპიონები დავით გვანცელაძე და რომან რშუა. და საერთოდ როცა ჭიდაობაზე ჩამოვარდება საუბარი, ყოველთვის ბევრია სალაპარაკო. იმიტომ, რომ ეს სპორტი საქართველოში ფეხბურთსა და კალათბურთის გვერდით დგას.

გუხუტი გურგენიძე — რესპუბლიკის უძლიერესი მოჭიდაოკაცეა. შვიდჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი, მრავალჯერ თამაშობდა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში. წელს კი თბილისის პირველი საერთაშორისო ტურნირი მოიგო და გროსმაისტერის ბალი მოიპოვა.

აი ის ათი საუკეთესო იმ მრავალთაგან, რომლებმაც განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს საკავშირო, ევროპისა და მსოფლიოს სარბიელზე. ჩვენ ყველაფერ ვერ ვილაპარაკეთ, გამოვტოვეთ წყალბურთი და წყალში ხტომა, ფრენბურთი და ცხენოსნობა და კიდევ სხვა, რომლებშიც არანაკლები წარმატებები გვქონდა.


კარგი, მოსავლიანი წელიწადი იყო 196 მრავალი ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო მი იპოვეს ქართველმა სპორტსმენებმა. კიდ უფრო მეტს მოიპოვებენ და მოიხვეჭ 1966 წელს. ეს ასე იქნება, იმიტომ, რ არასოდეს გჯერდებით მიღწეულს.

მომავალ შეხვედრამდე მეგობრებო! ბედნიერი იყოს ახალი წელიწადი თქვენთვ და ქართული სპორტისათვის.

ო. ლორთქიფანიძე.

* * *

სურათზე: ალექსანდრა ჯანუყაშვილი ა რულებს თავისუფალ ვარჯიშს.



მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე—50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

საქართველო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული პროფესიული კავშირების საბჭოს ორგანო

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25